სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

24 ოქტომბერი, 2025 წელი

ბრძანება №01-10/89

,,ბსუ-ს **სტუდენტთა კარიერული** განვითარების, კულტურისა და სპორტის **დეპარტამენტის პერსონალის ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნების** დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **2024 წლის 23 მაისის N 01-10/60 ბრძანებაში ცვლილების** შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23–ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,საქართველოს შრომის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის, ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების (დანართი №3 - უმაღლესი საანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები), ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკის (წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება №07-01/41, 08.09.2023წ.), ბსუ-ს შინაგანაწესის (წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება №02, 09.09.2011წ.), ბსუ-ს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის (წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება №07-01/58, 24.12.2021წ.), ,,ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის დებულების" (№07-01/40, 06.08.2021წ. გადაწყვეტილება) ,,ბსუ-ს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საშტატო ნუსხის (განრიგის) დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი ბრძანების (№01-55/14, 23.10.2025) და ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (№1406272, 24.10.2025 წ.) და ,,ბსუ-ს **სტუდენტთა კარიერული** განვითარების, კულტურისა და სპორტის **დეპარტამენტის პერსონალის ფუნქციათა** (სამუშაო) აღწერილობის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 23 მაისის №01-10/59 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 24 ოქტომბრის №01-10/88 ბრძანების **საფუძველზე**

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის პერსონალის ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 23 მაისის №01-10/60 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების **N1 დანართს** (დეპარტამენტის პერსონალის ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები) **დაემატოს** <u>დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები</u> და აღნიშნულის გათვალისწინებით **N1 დანართი ჩამოყალიბდეს ახალი**, წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული რედაქციით.
2. ბრძანება და კოფიცირებული ,,ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის პერსონალის ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები" გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (იურიდიულ ცნობარში და სტრუქტურული ერთეულების ველში).
3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ფაკულტეტებს, ინსტიტუტებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და სხვა სტრუქტურულ ერთეულებს.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. N30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **მერაბ დიასამიძე**

„ბსუ-ს **სტუდენტთა კარიერული** განვითარების, კულტურისა და სპორტის **დეპარტამენტის პერსონალის ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნების** დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **2024 წლის 23 მაისის N 01-10/60 ბრძანებაში ცვლილების** შეტანის შესახებ“

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 24 ოქტომბრის №01-10/89 ბრძანების

დანართი N1

ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის პერსონალის ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. წინამდებარე დოკუმენტი ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში – „უნივერსიტეტი“ ან „ბსუ“) დამხმარე სტრუქტურული ერთეულის - ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის (შემდგომში „დეპარტამენტის“) დამხმარე თანამდებობაზე დასაქმებისათვის ძირითად საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შეიძლება დეპარტამენტში დასაქმებისათვის განისაზღვროს დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკისა და ბსუს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესაბამისად.
3. დეპარტამენტის უფროსის ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:
3.1. განათლება: არანაკლებ მაგისტრის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;
3.2. სამუშაო გამოცდილება: მუშაობის <u>არანაკლებ 5 წლის</u> გამოცდილება, მათ შორის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2 წელი (უპირატესობა ენიჭება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/უმაღლესი განათლების სისტემაში მუშაობის გამოცდილებას).
3.3. სამართლებრივი აქტების ცოდნა (საკონკურსო თემატიკა)/კომპეტენციები: საკანონმდებლო სამართლებრივი აქტებიდან:
ა) საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ;
ბ) საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ;
გ) კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებიდან: „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება; ბსუ–ს სამართლებრივი აქტებიდან;
დ) ბსუ-ს წესდება; ბსუ-ს ეთიკის კოდექსი; პერსონალის მართვის პოლიტიკა; შინაგანაწესი; და დეპარტამენტის საქმიანობის მარეგულირებელი სხვა რეგულაციები;
3.4. ენები/უნარები:
ა) ქართული ენის ცოდნა (წერა/მეტყველება) – C1 დონე;
ბ) უცხო ენის ცოდნა: ინგლისური - **არანაკლებ B1 დონე** (სასურველია ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა);
გ) საოფისე პროგრამების ცოდნა;
დ) უნარები; პასუხისმგებლობა; ეფექტური კომუნიკაცია; პროცესების მართვის/ადმინისტრირების უნარი; ინფორმაციის/მონაცემთა შეგროვების, ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი; გუნდური მუშაობა; დაგეგმვა, ვადებზე ორიენტირებულობა და ორგანიზებულობა.

4. დეპარტამენტის უფროსის მოადგილის/კარიერული განვითარების და მხარდაჭერის განყოფილების უფროსის ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

4.1. განათლება: არანაკლებ მაგისტრის აკადემიური ხარისხი (ან მასთან გათანაბრებული ხარისხი);

4.2. სამუშაო გამოცდილება: მუშაობის <u>არანაკლებ 3 წლის</u> გამოცდილება (უპირატესობა ენიჭება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/უმაღლესი განათლების სისტემაში მუშაობის გამოცდილებას).

<u>4.3. სამართლებრივი აქტების ცოდნა</u> (საკონკურსო თემატიკა)/კომპეტენციები: საკანონმდებლო სამართლებრივი აქტებიდან:

ა) საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ'';

ბ) საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ ;

კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებიდან:

გ) „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;

ბსუ-ს სამართლებრივი აქტებიდან:

დ) ბსუ-ს წესდება; ბსუ-ს ეთიკის კოდექსი; პერსონალის მართვის პოლიტიკა; ბსუ-ს შინაგანაწესი და დეპარტამენტის საქმიანობის მარეგულირებელი სხვა რეგულაციები;

4.4. <u>ენები/უნარები:</u>

ა) ქართული ენის ცოდნა (წერა/მეტყველება) – C1 დონე;

ბ) უცხო ენის ცოდნა: ინგლისური - **არანაკლებ B1 დონე** (**სასურველია** ინგლისური ენის **B2** ან მაღალ დონეზე ფლობა);

გ) საოფისე პროგრამების ცოდნა;

დ) უნარები: პასუხისმგებლობა; ეფექტური კომუნიკაცია; პროცესების მართვის/ადმინისტრირების უნარი; ინფორმაციის/მონაცემთა შეგროვების, ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი; გუნდური მუშაობა; დაგეგმვა, ვადებზე ორიენტირებულობა და ორგანიზებულობა.

5. კულტურისა და სპორტის განყოფილების უფროსის ძირითადი **საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:**

5.1. განათლება: ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;

5.2. სამუშაო გამოცდილება: მუშაობის <u>არანაკლებ 3 წლის</u> გამოცდილება (უპირატესობა ენიჭება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/უმაღლესი განათლების სისტემაში მუშაობის გამოცდილებას).

5.3. სამართლებრივი აქტების ცოდნა (საკონკურსო თემატიკა)/კომპეტენციები: საკანონმდებლო სამართლებრივი აქტებიდან:

ა) საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ";

ბ) საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ;

ბსუ-ს სამართლებრივი აქტებიდან:

გ) ბსუ-ს წესდება; ბსუ-ს ეთიკის კოდექსი; პერსონალის მართვის პოლიტიკა; ბსუ-ს შინაგანაწესი; და დეპარტამენტის საქმიანობის მარეგულირებელი სხვა რეგულაციები;

5.4. ენები/უნარები:

ა) ქართული ენის ცოდნა (წერა/მეტყველება) – C1 დონე;

ბ) უცხო ენის ცოდნა: ინგლისური - **არანაკლებ A2 დონე** (სასურველია ინგლისური ენის **B1** ან მაღალ დონეზე ფლობა);

გ) საოფისე პროგრამების ცოდნა;

დ) უნარები: პასუხისმგებლობა; ეფექტური კომუნიკაცია; პროცესების მართვის/ადმინისტრირების უნარი; ინფორმაციის/მონაცემთა შეგროვების, ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი; გუნდური მუშაობა; დაგეგმვა, ვადებზე ორიენტირებულობა და ორგანიზებულობა.

6. კარიერული განვითარების და მხარდაჭერის განყოფილების მთავარი სპეციალისტის/წამყვანი სპეციალისტის ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

6.1. განათლება: არანაკლებ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;

6.2. სამუშაო გამოცდილება: მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება (უპირატესობა ენიჭება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/უმაღლესი განათლების სისტემაში/ბსუ-ში მუშაობის გამოცდილებას).

6.3. სამართლებრივი აქტების ცოდნა (საკონკურსო თემატიკა)/კომპეტენციები: საკანონმდებლო სამართლებრივი აქტებიდან:

ა) საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ";

ბ) საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ";

ბსუ-ს სამართლებრივი აქტებიდან:

გ) ბსუ-ს წესდება; ბსუ-ს ეთიკის კოდექსი; პერსონალის მართვის პოლიტიკა; ბსუ-ს შინაგანაწესი; დეპარტამენტის საქმიანობის მარეგულირებელი რეგულაციების ცოდნა;

6.4. ენები/უნარები:

ა) ქართული ენის ცოდნა (წერა/მეტყველება) – C1 დონე;

ბ) უცხო ენის ცოდნა: ინგლისური - არანაკლებ **B1 დონე** (სასურველია ინგლისური ენის **B2** ან მაღალ დონეზე ფლობა);

გ) საოფისე პროგრამების ცოდნა;

დ) უნარები: პასუხისმგებლობა; ეფექტური კომუნიკაცია; ინფორმაციის/მონაცემთა შეგროვების, ლოგიკური აზროვნების უნარი; გუნდური მუშაობა; ვადებზე ორიენტირებულობა და ორგანიზებულობა.

7. დეპარტამენტის **კულტურისა და სპორტის განყოფილების მთავარი სპეციალის**ტის/**წამყვანი სპეციალისტის ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:**

7.1. განათლება: არანაკლებ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;

7.2. სამუშაო გამოცდილება: მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება (უპირატესობა ენიჭება სპორტის ან/და კულტურის მიმართულებით მუშაობის გამოცდილებას/ბსუ-ში მუშაობის გამოცდილებას;

7.3. სამართლებრივი აქტების ცოდნა (საკონკურსო თემატიკა)/კომპეტენციები: ბსუ-ს სამართლებრივი აქტები: ბსუ-ს წესდება; ბსუ-ს ეთიკის კოდექსი; პერსონალის მართვის პოლიტიკა; ბსუ-ს შინაგანაწესი; ასევე დეპარტამენტის/განყოფილების საქმიანობის მარეგულირებელი რეგულაციების ცოდნა;

7.4. ენები/უნარები:

ა) ქართული ენის ცოდნა (წერა/მეტყველება) – C1 დონე;

ბ) უცხო ენის ცოდნა: ინგლისური -არანაკლებ **A2 დონე** (სასურველია ინგლისური ენის **B1** ან მაღალ დონეზე ფლობა);

გ) საოფისე პროგრამების ცოდნა;

დ) უნარები: პასუხისმგებლობა; ეფექტური კომუნიკაცია; გუნდური მუშაობა; ვადებზე ორიენტირებულობა.